

საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა

გზა პროფესიონალიზმისკენ



სრული ზოგადი განათლებით:

1. პრაქტიკოსი ექთანი
2. პრაქტიკოსი ბეზიქალი
3. ფარმაცევტის თანაშემწე

საბაზო და სრული ზოგადი განათლებით:

1. ექთნის თანაშემწე
2. ჯილის ტექნიკოსი
3. მასაჟისტი



+995 322 66 04 02
+995 322 34 58 63



panacea.2008@yahoo.com
www.panacea.edu.ge



თბილისი,
თ. ერისთავის ქუჩა 2

2016/2017 წლის
კატალოგი

ადმინისტრაციის მიმართვა.....	3
რატომ საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა?.....	4-6
დასაქმება	7
ჩვენს შესახებ.....	8
მისია,მიზანი, ამოცანები	9
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.....	10
ექთნის თანაშემწე	11-14
მასაჟისტი.....	15-17
კბილის ტექნიკოსი (მესამე საფეხური).....	18-20
კბილის ტექნიკოსი (მეოთხე საფეხური).....	21-23
კბილის ტექნიკოსი (მეხუთე საფეხური).....	24-26
პრაქტიკოსი ექთანი (საგნობრივი)	27-30
კბილის ტექნიკოსი (მესამე საფეხური).....	31-34
ფარმაცევტის თანაშემწე	35-38
პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)	38
სწავლის მეთოდები (საგნობრივი).....	38
პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება (საგნობრივი)	39
პრაქტიკოსი ექთანი (მოდულური).....	40-42
სასერტიფიკატო პროგრამა პირველადი გადაუდებელი დახმარება	43
სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების სახელმწიფო პროგრამა-ექთნის თანაშემწე	44
სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების სახელმწიფო პროგრამა- ფარმაცევტის თანაშემწე	45
პარტნიორები.....	46
ბრენდირება.....	47
პრაქტიკა პარტნიორ ორგანიზაციებში (ფოტოკოლაჟი).....	48-49
კოლეჯის სტრუქტურა.....	50
კოლეჯის მნიშვნელოვანი აქტივობები.....	51-57



მოგესალმებით,

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება საქართველოს საუკუნოვანი ისტორიის სამედიცინო სასწავლებელში. ამ წლების მანძილზე სასწავლებელს არ შეუცვლია პროფილი და გვინდა დაგარწმუნოთ, რომ ჩვენ ვიცით რა და როგორ გასწავლოთ.

სასწავლებელში თქვენ დაგხვდებათ თბილი, კომფორტული გარემო და ადამიანები, რომლებიც დაგეხმარებიან არჩეული პროფესიის დაუფლებაში. კოლეჯის პარტნიორ სამედიცინო დაწესებულებებში შეიძენთ საჭირო პრაქტიკულ უნარებს, რაც მოგცემთ დასაქმების რეალურ გარანტიას.

ჩვენ ვამაყობთ, რომ ჩვენი კურსდამთავრებულთა უდიდესი ნაწილი დასაქმებულია საქართველოსა და უცხოეთის სამედიცინო დაწესებულებებში არჩეული პროფესიით.

დაწესებულების ხელმძღვანელობა არ იშურებს ძალას სწავლასთან ერთად გქონდეთ, საინტერესო სტუდენტური ცხოვრებაც.

ვთანამშრომლობთ საქართველოსა და უცხოეთის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. 2016-2017 სასწავლო წელს ჩვენი წარმომადგენლები იმყოფებიდნენ კონფერენციებზე გერმანია, ფინეთსა და ლატვიაში. ჩვენ ვუმასპინძლეთ სამუშაო ვიზიტით მყოფ ესტონელ სტუმრებს.

ვართ “საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის” დამფუძნებლები და ჩართულები ვართ ყველა აქტივობაში, რაც ქვეყნის მასშტაბით ხორციელდება პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში.

მოხარულები ვართ რომ დაინტერესდით ჩვენი და აგვირჩიეთ!

კოლეჯის დირექტორი - ვასილ კიკნაძე

კოლეჯის დირექტორის მოადგილე - მაია ჩიხლაძე

რატომ პანაცეა?

იმიტომ, რომ შენ

ისწავლი

უძველეს სამედიცინო პროფესიული სასწავლებელში

გასწავლიან

გამოცდილი თეორიისა და პრაქტიკის მქონე პროფესიული მასწავლებლები

გაიქნება

სწავლისთვის კეთილმოწყობილი, კომფორტული გარემო

პრაქტიკას გაივლი

პრესტიჟულ სამედიცინო დაწესებულებებში

გეძლევა შანსი

მოიპოვო სასწავლო გრანტი სამედიცინო კორპორაცია „ევექსის“ დახმარებით

ჩაერთვები

აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებაში

შეიძენ

პროფესიისთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს

და შენ ...

დასაქმდები !!!



საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეა“ არის სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც გააჩნია თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მაღალკვალიფიციური მასწავლებლები.

საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეა“ სტუდენტებს უქმნის ისეთ გარემოს, სადაც მათ შეუძლიათ პიროვნული და პროფესიული წინსვლა, განვითარება. მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.

ხათუნა მასისაია- პროფესიული მასწავლებელი

წლის საუკეთესო პროფესიული მასწავლებელი

საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა სტუდენტს საუკეთესო განათლებით და დასაქმების რეალური პერსპექტივით უზრუნველყოფს;

ეს არის ადგილი, სადაც იქმნება ახალი საგანმანათლებლო პროგრამები და სტუდენტებს გადასცემენ ცოდნას;

დინამიური განვითარებით და პროგრესისაკენ სწრაფვით იგი მოწინავეა საგანმანათლებლო სივრცეში.

ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი პროფესიის სამჭედლო, რომლის კურსდამთავრებულებს ელოდება სამედიცინო სისტემა.

ეს არის ყველაზე ინოვაციური კოლეჯი, სადაც პრიორიტეტი ენიჭება პიროვნების განათლებას, რაც პატიოსნებასა და შრომაზე დაფუძნებული პროფესიული საქმიანობით განაპირობებს საზოგადოების ჯანსაღ, ჰუმანურ და დემოკრატიულ განვითარებას.

ქეთევან გარსევანიშვილი-აკად. გ. ჩავიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი მთავარი ექთანი, საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას პროფესიული მასწავლებელი

ვსწავლობდი საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეაში კბილის ტექნიკოსის პროფესიულ პროგრამაზე, ძირფესვიანად შევისწავლე ორთოპედიული სტომატოლოგია და კბილთ-პროთეზირების საკითხები. ჩემი კოლეჯი ძალიან დამეხმარა პროფესიულ განვითარებაში. პანაცეაში სწავლის დროს გამაგზავნეს ფინეთში, მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან თანამედროვე

კომპანიაში "PLANMEKA", სადაც ვნახე ყველაზე თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები, 3D განზომილებიანი სკანირების საშუალებით, ყოველგვარი ანაბეჭდის გარეშე ადამიანის კბილებისა და სახის ციფრული სკანირება, შემდეგ კი დასკანირებული კბილების პროგრამულად დამოდელირება და მათი დამზადება CAD/CAM ტექნოლოგიით.

კოლეჯის დირექციის მხარდაჭერით ეს იყო უმაღლესი დონის პრაქტიკული სწავლების განხორციელება გამოცდილების გაზიარების მიზნით.

დღეს მაქვს საკუთარი კომპანია "HITECH DENTAL" და აქტიურად ვარ ჩართული თანამედროვე სტომატოლოგიის განვითარებაში საქართველოში.


დიდ მადლობას ვუხდის კოლეჯ პანაცეას დირექტორს ბატონ ვ.კიკნაძეს და მთელ კოლექტივს ჩემთვის გაწეული შრომისა და დახმარებისათვის.

გიორგი კაციაშვილი-კურსდამთავრებული



კოლეჯმა პანაცეამ მაზიარა ფარმაციას და ამისრულა ის ოცნება, რომელიც მიზნად მქონდა დასახული, კოლეჯმა შემაყვარა ჩემი დღევანდელი პროფესია, მაღლობელი ვარ ჩემი კოლეჯით, რომელმაც მასწავლა ჩემი პროფესიის სიყვარული და საშუალება მომცა დავსაქმებულიყავი სააფთიაქო ქსელ პსპ-ში.

ესტელა აკოფიანი- კურსდამთავრებული (ფარმაცევტის თანაშეწე)



ბავშვობიდანვე მომწონდა და მიზიდავდა მედიცინა. ყოველთვის მსიამოვნებდა სამედიცინო გარემო და სურნელი, სკოლის დამთავრების შემდეგ ახლობლებმა და მეგობრებმა საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეა“ მირჩიეს, ჩემი პირველი შთაბეჭდილებითვე დავრწმუნდი, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე და ბედნიერი ვარ რომ აქ ვსწავლობ.

კოლეჯმა დააფასა ჩემი სწავლა და საშუალება მომცა კორპორაცია ევექსის დაფინანსების პროგრამაში მოხვედრის.


ანა ფომინა-პროფესიული სტუდენტი



ადამიანზე ზრუნვა და სიყვარული განსაკუთრებულად შევიგრძენი, როდესაც ჯერ კიდევ პირველკურსელმა გავიარე ავადმყოფის მოვლის საწარმოო პრაქტიკა იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკაში. მას შემდეგ ვცდილობდი მაქსიმალურად მეშუშავა საკუთარ თავზე, მიმეღო თეორიული ცოდნა და ის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც ავადმყოფის საწოლთან გამომადგებოდა.

დღეს მე ავიხდინე ჩემი სურვილი და ვმუშაობ იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკაში, საოპერაციო განყოფილების მედდად. გისურვებთ წარმატებებს

ნათია ქარქაშაძე- კურსდამთავრებული (პრაქტიკოსი ექთანი)



■ 2015/16 სასწ/წ კურსდამთავრებულთა დასაქმება

1873 წელს ქალაქ თბილისში გაიხსნა კერძო სამშობიარო (Родовспомогательное) სამკურნალო დაწესებულება 12 საწოლით.

1875 წელს იგი გადაკეთდა ამიერკავკასიის საბეზო ინსტიტუტად. იმჟამინდელი მეფისნაცვლის მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის მეუღლის ოლღა თეოდორეს ასულის ინიციატივით და ხელშეწყობით, საბეზო ინსტიტუტთან 1875 წელს გაიხსნა სამედიცინო კურსები.

ოლღას საბეზო სკოლა. 19-ე საუკუნე 1875 წელი
(რეზო ჩარსული)



ეს გახლდათ მთელ ამიერკავკასიაში პირველი საშუალო სამედიცინო კადრის მომზადების კერა. სამედიცინო კურსების სასწავლო პროგრამები შემუშავებული იყო მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგის სამშობიარო, სამკურნალო დაწესებულებებში. პირველი გამოშვება შედგა 1878 წელს იანვარში. დაამთავრა 28 მსმენელმა.

სასწავლო პროცესი წლების განმავლობაში იხვეწებოდა და ვითარდებოდა, იცვლებოდა სასწავლებლის დასახელებაც და ბოლოს დამკვიდრდა, როგორც „თბილისის მეორე

სახელმწიფო სამედიცინო სასწავლებელი“, რომელმაც სპეციალისტებთან ერთად მრავალი სახელოვანი მეცნიერი და მოქალაქე აღზარდა.

წლების მანძილზე იმდენად დიდი იყო სასწავლებლის სახელი და ავტორიტეტი, რომ მეორე სამედიცინო სასწავლებლის კურსდამთავრებულებს დიდი სიამოვნებით იღებდნენ და ზოგჯერ მოიძიებდნენ კიდევ სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებები.

„თბილისის მეორე სახელმწიფო სამედიცინო სასწავლებლის“ საამაყოდ ისიც უნდა ითქვას, რომ 2008 წლის კურსდამთავრებულთა შორის არის საქართველოს პირველი ლედი, ქ-ნი სანდრა ელისაბედ რულოვსკი.

1996 წელს მეორე სამედიცინო სასწავლებლის ბაზაზე შეიქმნა შპს სამედიცინო ინსტიტუტი „პანაცეა.“

2011 წლის 4 ივლისს შპს სამედიცინო ინსტიტუტმა „პანაცეამ“ დააფუძნა საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეა“.



საზოგადოებრივი კოლეჯის მისია, მიზანი, ამოცანები

საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას მისიაა მოამზადოს თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, ჯანდაცვის მიმართულების პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციური, კომპენტენტური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები.

კოლეჯის ძირითადი მიზანია: ახალგაზრდებს გამოუმუშავოს თვითმყოფადობა, დამოუკიდებელი და კრიტიკული აზროვნება, მედიცინის თანამედროვე მიღწევების გააზრებულად გაცნობისა და გამოყენების უნარი, რაც ხელს შეუწყობს პროფესიულ სტუდენტთა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბებას.

კოლეჯის ძირითადი ამოცანებია:

1. შიდა და გარე შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება;
2. ქმედითი, თანმიმდევრული ღონისძიებების გატარება საგანმანათლებლო დაწესებულების უწყვეტი, დინამიური თვითგანვითარებისთვის;
3. აქტიური მონაწილეობის მიღება ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბებაში;
4. საქართველოსა და უცხოეთის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა;
5. განათლების ხელმისაწვდომობისა და საჯაროობის უზრუნველყოფა, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა;
6. ზრუნვა პედაგოგიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე;
7. ზრუნვა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტ-ტათვის სწავლის პირობების უზრუნველსაყოფად;
8. კურსდამთავრებულთა დასაქმების, მათ შორის, საკუთარი ბიზნესის წამოწყებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა;
9. დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სისტემატიური სრულყოფა სტანდარტების შესაბამისად;
10. სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორული ურთიერთობის დამყარება, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობის ხელშეწყობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეა“ ახორციელებს შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს

	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ექთნის თანაშემწე	III	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია	90
2	მასაჟისტი	III	მასაჟისტის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია	60
3	კბილის ტექნიკოსი	III	კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია	60
4	კბილის ტექნიკოსი	IV	კბილის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია	30
5	კბილის ტექნიკოსი	V	კბილის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია	30
6	პრაქტიკოსი ექთანი	V	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია	150
7.	ფარმაცევტის თანაშემწე	V	ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია	120
8	პრაქტიკოსი ბეზიაქალი	V	პრაქტიკოსი ბეზიაქალის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია	120
9	პრაქტიკოსი ექთნის მოდულური პროგრამა	V	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია	179

კურსდამთავრებულებს ეძლევათ პროფესიული განათლების სახელმწიფო დიპლომი.

I.ექონის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (090551)



ექონის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს 90 კრედიტს. კრედიტების 60% ეთმობა თეორიულ კომპონენტს, 40% - პრაქტიკის კომპონენტს. კურსდამთავრებულს ენიჭება ექონის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა სახელმწიფო პროფესიული დიპლომი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ექონის თანაშემწის მესამე საფეხურზე ჩარიცხვა ხდება:

1. დოკუმენტების განხილვისა და პირის შესაბამისობის განსაზღვრის საფუძველზე;
2. საბაზო ან სრული საშუალო განათლების საფუძველზე: (უპირატესად გათვალისწინებული იქნება ქიმიისა და ბიოლოგიის საგნებში მიღებული შეფასებები)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

მომზადოს შესაბამისი საფეხურის ექონის თანაშემწე, რომელსაც ეცოდინება

1. ურთიერთობის ფსიქოლოგია;
2. საკუთარი თავის დაცვა ინფექციის კერაში მუშაობისას;
3. დაუფლებული იქნება ბიოლოგიური მეცნიერების საფუძვლებს;
4. შესძლებს მარტივი მათემატიკური გამოთვლების ჩატარებას;

5. შესძლებს მოვლის პროცესში პაციენტის ასაკის, დაავადების მიმდინარეობისა და სპეციფიკის გათვალისწინებას;
6. პაციენტის ხელშეწყობას საკუთარი თავის მომსახურების უნარების განვითარებასა და სწავლაში;
7. დეზინფექციის ჩატარებას;
8. სხვადასხვა ასაკის პაციენტის მოვლას (სირთულის მიხედვით);
9. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას;
10. საკუთარი სამუშაოს გეგმის შედგენას და მის თანწყობას სამედიცინო გუნდის წევრების სამუშაო გეგმასთან.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები:

1. ცოდნა და გაცნობიერება :

2. იცის ურთიერთობის ფსიქოლოგია;
3. იცის პალიატიური მზრუნველობის არსი;
4. იცის საკუთარი თავის დაცვა ინფექციის კერაში მუშაობისას;
5. ფლობს ბიოლოგიურ მეცნიერების (ადამიანის ნორმალური ანატომიის, ფიზიოლოგიის, მიკრობიოლოგია, ეპიდემიოლოგიის) საფუძვლებს ;
6. გაცნობიერებული აქვს საექთნო მოვლის ასისტირების მიზნები და ამოცანები;
7. ფლობს ასისტირების ძირითად საშუალებებს, ფორმებსა და მეთოდებს;
8. აქვს ინფორმაცია წამლების ორგანიზმზე ზემოქმედების გვერდითი ეფექტების შესახებ;
9. იცის პირველი გადაუდებელი დახმარება;
10. იცის ინფექციის კონტროლი;
11. იცის სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგი;

12. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი :

13. შეუძლია:

14. მოვლის პროცესში პაციენტის ასაკის, დაავადების მიმდინარეობისა და სპეციფიკის გათვალისწინება;
15. პაციენტის ხელშეწყობა საკუთარი თავის მომსახურების უნარების განვითარებასა და სწავლაში;
16. დეზინფექციის ჩატარება (კონცენტრირებული ხსნარების დამზადების წესის ჩათვლით);
17. სხვადასხვა ასაკის პაციენტის მოვლა (სირთულის მიხედვით);
18. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა;
19. საკუთარი სამუშაოს გეგმის შედგენა და მისი თანწყობა სამედიცინო გუნდის წევრების სამუშაო გეგმასთან;
20. ფიზიკური საჭიროებების იდენტიფიცირება;
21. პაციენტის უფლებების დაცვა;
22. დღიურის წარმოება და ინფორმაციის შენახვა;
23. ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების გატარება;

24. მოსავლელი პირის კვება, დაბანა, აბაზანის გაკეთება, ჩაცმა, საწოლის გამზადება, ტრანსპორტირება;
25. გარეგანი მანიპულაციების ჩატარება;
26. ნაწოლების პრევენცია; დაინფიცირებული ჭრილობის, წყლულების, ნაწოლების მოვლა;
27. განავლის მიმღები და შარდმიმღები სისტემების გამოცვლა, უტილიზაცია;
28. მწოლიარე პაციენტისათვის მოსახერხებელი გარემოს შექმნა, თეთრეულის გამოცვლა;
29. ექიმის ან ექთნის დახმარება დესმურგიის მიმდინარეობისას;
30. დახმარება წამლების დარიგების დროს;
31. სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგი;
32. პრეოპერაციულად პაციენტის მომზადება (კანის ჰიგიენა, ანტისეპტიკური დამუშავება);

33. დასკვნის უნარი:

34. შეუძლია ექთნის ინფორმირება პაციენტის მიერ წამლის მიღების რეჟიმის დარღვევის, ზედოზირების, უეცარი შეწყვეტის, ან ერთი წამლის მეორეთი თვითნებურად ჩანაცვლების შემთხვევაში;
35. შეუძლია ექთნის ან მკურნალი ექიმის შენიშვნების გათვალისწინება. საჭიროების შემთხვევაში შეუძლია საკუთარი პოზიციის დაცვა;
36. პრობლემურ ან ფორსმაჟორულ სიტუაციაში შეუძლია მიზეზშედეგობრივი კატეგორიებით აზროვნება, გადაწყვეტილების ეფექტურად და სწრაფად მიღება და ამის შესახებ ექთნის/ექიმის ინფორმირება.

37. კომუნიკაციის უნარი :

38. შეუძლია კომუნიკაცია პაციენტთან, პაციენტის ოჯახის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენება, უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება. წევრებთან, მედპერსონალთან;
39. უნარი აქვს ყურადღებით მოისმინოს სხვისი საუბარი, მოსმენილი გაიზროს და საჭიროებისას დააზუსტოს;
40. შეუძლია მარტივი ტექსტების გაგება უცხოურ ენაზე;
41. შეუძლია მარტივი მათემატიკური გამოთვლების ჩატარება;
42. შეუძლია პაციენტის მოვლაზე, მანიპულაციებსა და სხვა პროფესიულ საკითხებზე კომუნიკაცია განსხვავებულ სიტუაციებში;
43. უნარი შესწევს მოიძიოს პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაცია მშობლიურ და უცხოურ ენაზე. შეუძლია ამ ინფორმაციის გააზრება, კომუნიკაცია. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს იყენებს პროფესიულ საქმიანობაში;
44. ფლობს კომპიუტერიულ საოფისე პროგრამებს.

45. სწავლის უნარი :

46. შეუძლია მითითებული ლიტერატურის მეშვეობით სწავლა;
47. შეუძლია, სხვისი ხელმძღვანელობითა და რჩევების გათვალისწინებით განსაზღვროს შემდგომი სწავლის პერსპექტივები;
48. შეუძლია საკუთარი სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება; ზრუნვა პროფესიული განვითარებისათვის.

49. ღირებულებები :

- 50. იცავს პაციენტებთან, კოლეგებთან ურთიერთობის ეთიკურ და სამართლებრივ ნორმებს, მოქმედებს მათ შესაბამისად;
- 51. შეუძლია, პროფესიული პრობლემის წამოჭრისას გულისყურით მოეკიდოს საკითხს;
- 52. კრიტიკული სიტუაციის დროს არ კარგავს კეთილგანწყობას პაციენტის მიმართ.

დასაქმების სფეროები:

ექთნის თანაშემწის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს სტაციონარში, ჰოსპისში, ბინის პირობებში ან/და მომვლელად მგზავრობა-მოგზაურობის დროს; ხანგრძლივი სამედიცინო მომსახურების დაწესებულებაში (მოხუცთა თავშესაფარი, ბავშვთა სახლები), ბინაზე მოვლის სამსახური.

II. მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (090651)



მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს **60** კრედიტს. აქედან კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი სახელმწიფო პროფესიული დიპლომი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

1. დოკუმენტების განხილვა და პირის შესაბამისობის განსაზღვრა;
2. მინიმალური ასაკი 18 წელი
3. საბაზო ან სრული საშუალო განათლება

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

შესაბამისი საფეხურის ცოდნის უნარების და ღირებულებების სპეციალისტების მომზადება, რომლის საქმიანობა უპასუხებს ადგილობრივი ჯანმრთელობის სფეროს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და იმუშავებს სამედიცინო რეაბილიტაციის ყველა ფაზაში (ჰოსპიტალურ, კონვალესცენტური და პოსტკონვალეს ცენტური) სხვადასხვა სახის ავადმყოფობის მქონე პაციენტის სამკურნალოდ.

მესამე საფეხურის მასაჟისტმა უნდა იცოდეს: სამედიცინო რეაბილიტაციის მიზნები და ამოცანები; სამკურნალო ფიზკულტურის ძირითადი საშუალებები, მათი ჩატარების ფორმები და მეთოდები; ესთეტიკურ სალონებში მასაჟის კაბინეტის ორგანიზაცია. კლასიკური მასაჟის მეთოდების გამოყენება; ტალახისა და პარაფინის აპლიკაციების დადება, საყრდენ – მამოძრავებელი სისტემის სამკურნალო ფიზკულტურის ჩატარება; ჰიპერტონული დაავადების დროს სამკურნალო მასაჟის გაკეთების თავისებურება; ზოგიერთი ტრადიციული მასაჟის პროცედურების ჩატარება.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

1. ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგიის საფუძვლები
2. დაავადების ეტიოლოგია და პათოგენეზი
3. პაციენტის ჩართვა სამედიცინო ღონისძიებებში, რომელიც მიმართული იქნება პათოლოგიური პროცესების განვითარების პრევენციისთვის, რაც უზრუნველყოფს დროებით და მყარ შრომისუნარიანობას, ეფექტურ და დროულ დაბრუნებას საზოგადოებაში;
4. სამედიცინო მასაჟის ამოცანები და მეთოდები ორგანო-სისტემებზე ზემოქმედებისათვის (სისხლისმიმოქცევისა და ლიმფურ სისტემაზე, კანზე, კუნთოვან სისტემაზე, შემაერთებელ ქსოვილზე, ნერვულ სისტემაზე, შინაგან ორგანოებზე და მთლიანად მთელ ორგანიზმზე ზემოქმედებისას)
5. სამედიცინო მასაჟის საშუალებებს: ხელსმა, სრესა, თელვა, დარტყმითი ილეთები, რხევები (ბერტყვა, შერხევა, ვიბრაცია), პასიური მოძრაობები
6. კინეზოთერაპიის ძირითადი საშუალებები: - საერთოგანმავითარებელი და სპეციალური ვარჯიშები (იდიომოტორული, იზომეტრული, პასიური, პოსტურული, მაკორეგირებელი, სუნთქვითი, რელაქსაციური და სხვ.)
7. კინეზოთერაპიის ფორმები: პროცედურა - ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობა; მექანოთერაპია, შრომითი თერაპია, კინეზო-ბალნეოთერაპია, ტერენკური, რაიტთერაპია, დამოუკიდებელი ვარჯიში; ასევე - მოძრაობის რეჟიმები: წოლითი, პალატის, დაზოგვითი-წვრთნის და საწვრთნელი.
8. სამედიცინო მასაჟის კაბინეტის მოწყობა: სამასაჟო ოთახის ფართობი, გარემო სან-ჰიგიენური წესების დაცვით, სამასაჟო ტახტების ფორმა (ზომა, სიმაღლე); სამასაჟო ზეთები, საცხები და მალამოები; სპეციფიური აპარატურა (ვიბრომასაჟორები, ვაკუმმასაჟორები და სხვა).
9. ანტიცელულიტური, თაფლით და სხვა ეგზოტიკური მასაჟის სახეების ჩატარება.
10. პრაქტიკულად ჯანმრთელი ადამიანის ჰიგიენური მასაჟის მეთოდები.
11. ურთიერთობის ფსიქოლოგია.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

შეუძლია:

1. წაიკითხოს დიაგნოზი ლათინურ ენაზე და გაიცნოს პაციენტის კლინიკური მდგომარეობა.
2. არტერიული წნევის გაზომვა, პულსისა და სუნთქვის დათვლა; პერკუსია და პალპაცია;
3. ტალახის, პარაფინის აპლიკაციის დადება;
4. მასაჟისადმი ტოლერანტობის ნიშნების გამოკვლევა;
5. პირველადი დახმარების აღმოჩენა;
6. სამკურნალო მასაჟის მეთოდების გამოყენება სხვადასხვა პროფილის დაავადებით პაციენტთა რეაბილიტაციაში (ექიმის მიერ დასახული ამოცანების შესრულების შესაბამისად);
7. კინეზოთერაპიისა და მანუალური თერაპიის ილეთების გამოყენება სქოლიოზისა და საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის სხვა დეფორმაციისა და დაზიანების მქონე პაციენტების მკურნალობა-რეაბილიტაციაში;

დასკვნის უნარი:

უნარი შესწევს:

1. დროულად ამოიცნოს პაციენტის მოვლის/მართვის გეგმის ხელისშემშლელი, დამაბრკოლებელი გარემოებები და დამოუკიდებლად ან სხვისი დახმარებით აღმოფხვრას ისინი;

ამოიცნოს დაავადების რისკ-ფაქტორები და სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობები; გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები და იმოქმედოს სამედიცინო გუნდთან შეთანხმებულად მეორადი პროფილაქტიკის ღონისძიებების სატარებაში;

კომუნიკაციის უნარი:

შეუძლია:

- უცხოურ ენაზე აუცილებელი და საჭირო ინფორმაციის წაკითხვა და გააზრება;
- კომუნიკაცია პაციენტთან, მის ოჯახის წევრებთან და მედპერსონალთან ;
- სხვისი საუბრის მოსმენა, მოსმენილის გააზრება და საჭიროებისას დაზუსტება;

შეუძლია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში;

სწავლის უნარი:

ხელმძღვანელის მითითებით შეუძლია:

- ფოკუსირება მოახდინოს საკუთარი ცოდნის საჭიროებებსა და პრიორიტეტებზე;

მოიძიოს შესაბამისი წყაროები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას;

ღირებულებები:

- იცავს პაციენტებთან, კოლეგებთან ურთიერთობის ეთიკურ ნორმებს;
- იცავს სანიტარულ ნორმებს;
- იცავს გუნდური მუშაობის პრინციპებს ;

პაციენტისა და კოლეგების მიმართ არის კეთილგანწყობილი;

III. კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (090251)



კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს. (ერთი კრედიტი უდრის 25 საათს). აქედან 40% – ეთმობა პრაქტიკის კომპონენტს, 60% – თეორიულ კომპონენტს. კურსდამთავრებულს ენიჭება კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი სახელმწიფო პროფესიული დიპლომი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურზე ჩარიცხვა ხდება:

- დოკუმენტების განხილვისა და პირის შესაბამისობის განსაზღვრის საფუძველზე;
- საბაზო ან სრული საშუალო განათლების საფუძველზე: (უპირატესად გათვალისწინებული იქნება ქიმიისა და ანატომიის საგნებში მიღებული შეფასებების საფუძველზე);
- **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:**

შესაბამისი საფეხურის ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების სპეციალისტის მომზადება, რომელიც ითვალისწინებს კბილის ტექნიკოსის თანამედროვე თეორიული განათლებისა და პრაქტიკული გამოცდილების მიღებას, რაც საშუალებას მისცემს სპეციალისტს იმუშაოს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში, კბილის სატექნიკო ნებისმიერ ლაბორატორიაში. უნდა იცოდეს საღებავ-სამეტყველო აპარატის თანდაყოლილი და შეძენილი დეფექტები, დაზიანებები, დეფორმაციები; შეუძლია მოდელზე მათი ამოცნობა, ორთოპედიული კონსტრუქციების შესაქმნელად გეგმის შედგენა მასალებისა და ტექნოლოგიების შერჩევით; იცის როგორც მოუხსნელი, ასევე მოსახსნელი ორთოპედიული პროთეზების დამზადება შეედლოს კბილის გვირგვინების დეფექტების აღდგენა მოდელირებით და ცვილის შეცვლა სათანადო ორთოპედიული ტექნოლოგიებით, ნახევარგვირგვინებით, ვინირებით და მთლიანი გვირგვინებით. აღნიშნული პროცესისათვის გამოიყენოს პლასტმასს, ფაიფურს, მეტალებსა და მათ კომბინაციებს, კბილების ნაწილობრივი ან მთლიანი დაკარგვის შემთხვევაში შეედლოს მოდელზე სიტუაციის შეფასება, სამუშაო გეგმის შემუშავება სათანადო

მასალების შერჩევით და მოუხსნელი ხიდისებური, ნაწილობრივი ფირფიტოვანი ან მთლიანი ფირფიტოვანი ორთოპედიული პროთეზების დამზადება.

სწავლის შედეგი მიიღწევა დარგობრივი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად.

სასწავლო პროგრამის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

- იცის ადამიანის პირის ღრუს შემადგენელი ორგანოების ანატომიური აგებულება და ფუნქცია, შესწავლილი აქვს როგორც ზედა, ასევე ქვედა ყბებზე კბილთა მწკრივები, შეუძლია მათი გამოცნობა ჯგუფობრიობის მიხედვით, იცის თითოეული კბილის ანატომია და სტრუქტურული აგებულება;
- წარმოდგენა აქვს ორგანიზმში მიმდინარე ქიმიურ და ბიომექანიკურ პროცესებზე;
- დაუფლებულია კბილის სატექნიკო ლაბორატორიაში გამოყენებულ თანამედროვე საანაბეჭდო, ასევე პროთეტიკულ მასალებს; იცნობს ძირითად ტექნიკურ და დამხმარე საშუალებებს;
- შესწავლილი აქვს სადექ-სამეტყველო აპარატის თანდაყოლილი და შეძენილი ანომალიები, დეფექტები და დეფორმაციები, აგრეთვე მათი ამოცნობისა და რეაბილიტაციის საკითხები;
- გაცნობიერებული აქვს აპარატურული, ანუ ორთოპედიული კონსტრუქციებით მათი (დეფექტები და დეფორმაციები) მკურნალობის აუცილებლობა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- შეუძლია საანაბეჭდო მასალის შესატყვისი მეთოდით მომზადება, ფანტომიდან ანაბეჭდის აღება, მიღებული ანაბეჭდიდან თაბაშირით მოდელის ჩამოსხმა;
- შეუძლია მოდელიდან საჭირო კბილების ამოჭრა, სპირტქურისა და სატექნიკო ფითხის დახმარებით კბილების ცვილით მოდელირება მათთვის სასურველი ფორმის მისაცემად;
- შეუძლია საკუთარი სამუშაო გეგმის შედგენა და მისი შეთანხმება გუნდის სხვა წევრების სამუშაო გეგმასთან.
- შეუძლია კბილის გვირგვინების დეფექტების აღდგენა მოდელირებით და ცვილის შეცვლა სათანადო ორთოპედიული ტექნოლოგიებით, ნახევარგვირგვინებით, ვინირებით და მთლიანი გვირგვინებით. აღნიშნული პროცესისათვის იყენებს პლასტმასს, ფაიფურს, მეტალებსა და მათ კომბინაციებს;
- შეუძლია კბილების ნაწილობრივი ან მთლიანი დაკარგვის შემთხვევაში მოდელზე სიტუაციის შეფასება, სამუშაო გეგმის შემუშავება სათანადო მასალების შერჩევით და მოუხსნელი ხიდისებური, ნაწილობრივი ფირფიტოვანი ან მთლიანი ფირფიტოვანი ორთოპედიული პროთეზების დამზადება.

დასკვნის უნარი:

- შეუძლია თაბაშირის ან სხვა რომელიმე საანაბეჭდო მასალიდან მიღებული მასის საჭირო კონსისტენციის განსაზღვრა;
- შეუძლია პლასტმასების ტექნოლოგიური პროცესისათვის თვალყურის დევნება და დანადგარის ოპტიმალურ დროში გამორთვა, გაციების რეჟიმის დაცვა;
- შეუძლია სამუშაო მოდელზე სიტუაციის შეფასება, დასკვნის გაკეთება, სხვადასხვა ვარიანტების განხილვა, საბოლოო გეგმის შერჩევა, მანიპულაციის ჩატარება;
- შეუძლია კბილების შეძენილი ან თანდაყოლილი დეფექტების შემთხვევაში გარკვეული დამოუკიდებლობით გააკეთოს დასკვნა და ცვილით მათი ფორმის აღსადგენად მიმართოს შესაბამის მეთოდს. ექიმის და კბილის ტექნიკოსის (მეოთხე და მეხუთე საფეხურის) შენიშვნის გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში შეუძლია საკუთარი პოზიციის დაცვა.

კომუნიკაციის უნარი:

- შეუძლია აუცილებელი და საჭირო ინფორმაციის, შინაგანაწესის, ხელშეკრულების, მასალის გამოყენების მარტივი მეთოდის, საანაბეჭდო მასალების შენახვის წესებისა და მსგავსი ინფორმაციის წაკითხვა და გააზრება;
- შეუძლია უცხოურ ენაზე კომუნიკაცია პროფესიულ საკითხებზე;
- სამუშაოს შესასრულებლად იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.

სწავლის უნარი:

- შეუძლია დასახელებული წყაროს გამოყენება ინფორმაციის მოსაპოვებლად და სწავლისთვის;
- შეუძლია შემდგომი სწავლის დაგეგმვა;
- შეუძლია შეძენილი ცოდნით სწავლის გაგრძელების უზრუნველყოფა.

ღირებულებები:

- იცის გუნდის წევრებთან, კოლეგებთან, ხელმძღვანელებსა და საზოგადოებასთან ურთიერთობების ეთიკური ნორმები, იცავს ამ ნორმებს, კრიტიკულ სიტუაციაში მოქმედებს შესაბამისად;
- პასუხისმგებლობით ეკიდება ნებისმიერ დავალებას, განსხვავებულ სიტუაციებში არ კარგავს კეთილგანწყობას.

დასაქმების სფეროები:

კბილის ტექნიკოსის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს კბილის სატექნიკო ლაბორატორიაში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა – *მესამე საფეხურის* პროფესიული პროგრამის დამთავრების შემდეგ კბილის ტექნიკოსის კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია სწავლა გააგრძელოს *მეოთხე საფეხურის* შესაბამის პროფესიულ პროგრამაზე კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად.

IV. მეოთხე საფეხურის კბილის ტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (090251)



კბილის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს 30 კრედიტს. (ერთი კრედიტი უდრის 25 საათს.) აქედან 40%-ეთმობა პრაქტიკის კომპონენტს, 60%-თეორიულ კომპონენტს. კურსდამთავრებულს ენიჭება კბილის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი სახელმწიფო პროფესიული დიპლომი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

კბილის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურზე ჩარიცხვა ხდება:

- დოკუმენტების განხილვისა და პირის შესაბამისობის

განსაზღვრის საფუძველზე:

- წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის უნარებისა და ღირებულებების კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარება, სადაც უპირატესობა მიენიჭება პრაქტიკულ კომპონენტს ან/და გამოცდილებას.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

შესაბამისი საფეხურის ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების სპეციალისტის მომზადება, რომელმაც იცის სადექ-სამეტყველო აპარატის აგებულება და ფუნქცია. წარმოდგენა აქვს ორგანიზმში მიმდინარე ქიმიურ და ბიომექანიკურ პროცესებზე, დაუფლებულია კბილის სატექნიკო ლაბორატორიაში გამოყენებულ თანამედროვე როგორც საანაბეჭდო, ასევე პროთეტიკულ მასალებს, იცნობს ძირითად ტექნიკურ და დამხმარე საშუალებებს, შესწავლილი აქვს სადექ-სამეტყველო აპარატის თანდაყოლილი და შეძენილი ანომალიები, დეფექტები და დეფორმაციები, აგრეთვე მათი ამოცნობისა და რეაბილიტაციის საკითხები – გაცნობიერებული აქვს აპარატურული, ანუ ორთოპედული კონსტრუქციებით მათი მკურნალობა. შეუძლია კბილის სატექნიკო ლაბორატორიის სპეციფიკიდან გამომდინარე სამუშაოს დაგეგმვა და შესრულება, მუშაობის პროცესში წამოჭრილი ამოცანის გადასაჭრელად შეუძლია საინფორმაციო წყაროების გამოყენება და სამუშაოს შესრულებაზე პასუხისმგებლობის აღება შრომის შედეგის გასაუმჯობესებლად; დაუფლებულია ძერწვისა და ცვილით მოდელირების ხელოვნებას, შეუძლია სამუშაო მოდელის ჩამოსხმა, მოდელის დამუშავება, ძერწვა; შეუძლია კბილის გვირგვინების დეფექტებისა და დეფორმაციების გამოსწორება, მირჩილვა, შედუღება, მეტალების დამუშავება, ჩამოსხმა, ფლობს ფაიფურსა და პლასტმასებზე მუშაობის მეთოდებს. ნებისმიერი პროცედურისთვის შეუძლია შესაფერისი მასალის კრიტიკული ანალიზით შერჩევა და გამოსაყენებელი მეთოდის მისადაგება.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება:

- იცის სადექ-სამეტყველო აპარატის აგებულება და ფუნქცია.
- წარმოდგენა აქვს ორგანიზმში მიმდინარე ქიმიურ და ბიომექანიკურ პროცესებზე,
- დაუფლებულია კბილის სატექნიკო ლაბორატორიაში გამოყენებულ თანამედროვე როგორც საანაბეჭდო, ასევე პროთეტიკულ მასალებს,
- იცნობს ძირითად ტექნიკურ და დამხმარე საშუალებებს,
- შესწავლილი აქვს სადექ-სამეტყველო აპარატის თანდაყოლილი და შეძენილი ანომალიები, დეფექტები და დეფორმაციები, აგრეთვე მათი ამოცნობისა და რეაბილიტაციის საკითხები –
- გაცნობიერებული აქვს აპარატურული, ანუ ორთოპედიული კონსტრუქციებით მათი მკურნალობის აუცილებლობა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- შეუძლია კბილის სატექნიკო ლაბორატორიის სპეციფიკიდან გამომდინარე სამუშაოს დაგეგმვა და შესრულება, მუშაობის პროცესში წამოჭრილი ამოცანის გადასაჭრელად
- შეუძლია საინფორმაციო წყაროების გამოყენება და სამუშაოს შესრულებაზე პასუხისმგებლობის აღება შრომის შედეგის გასაუმჯობესებლად;
- დაუფლებულია ძერწვისა და ცვილით მოდელირების ხელოვნებას, შეუძლია სამუშაო მოდელის ჩამოსხმა, მოდელის დამუშავება, ძერწვა;
- შეუძლია კბილის გვირგვინების დეფექტებისა და დეფორმაციების გამოსწორება, მირჩილვა, შედუღება, მეტალების დამუშავება, ჩამოსხმა,
- ფლობს ფაიფურსა და პლასტმასებზე მუშაობის მეთოდებს.
- ნებისმიერი პროცედურისთვის შეუძლია შესაფერისი მასალის კრიტიკული ანალიზით შერჩევა და გამოსაყენებელი მეთოდის მისადაგება.

დასკვნის უნარი:

- ნებისმიერი ორთოპედიული კონსტრუქციის შესაქმნელად შეუძლია საჭირო ტექნოლოგიის შერჩევა, გამოსაყენებელი მასალების ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და საბოლოო შედეგის ანალიზი. აგრეთვე დასკვნის გაკეთებამდე
- შეუძლია გამოიყენოს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, გაეცნოს უახლესი მასალების გამოყენების მეთოდებს და მიღებული დასკვნა დასაბუთებულად ჩამოაყალიბოს.

კომუნიკაციის უნარი:

- კბილის სატექნიკო სამუშაოებთან დაკავშირებით შეუძლია გააზრებული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია,
- ათვისებული აქვს ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები. პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში
- ეთიკური ნორმების დაცვით შეუძლია სამუშაოზე პასუხისმგებლობის აღება, უცხო ენაზე იძიებს და ამუშავებს საჭირო ინფორმაციას.

სწავლის უნარი:

- პროფესიული საჭიროებიდან გამომდინარე, შეუძლია საჭირო წყაროების მოძიება და დამუშავება
- დამოუკიდებლად, საზღვრავს პროფესიული სრულყოფისათვის საჭირო ნაბიჯებს.

ღირებულებები:

- იცის პროფესიასთან დაკავშირებით როგორც სამართლებრივი, ასევე ეთიკური საფუძვლები.
- ნებისმიერ სიტუაციაში მოქმედებს მისი საქმიანობისათვის დამახასიათებელი ნორმების შესაბამისად.
- ცვალებად სიტუაციაში პრობლემის გადაწყვეტა შეუძლია კოლეგებისა და პაციენტების სასარგებლოდ.

დასაქმების სფეროები:

კბილის ტექნიკოსის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს კბილის სატექნიკო ლაბორატორიაში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

კბილის ტექნიკოსის *მეოთხე საფეხურის* პროფესიული კვალიფიკაციის დიპლომის

საფუძველზე პროფესიულ სტუდენტს შეუძლია სწავლა გააგრძელოს კბილის

ტექნიკოსის *მეხუთე საფეხურის* პროფესიულ პროგრამაზე

V.მეხუთე საფეხურის კბილის ტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (090251)



კბილის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს 30 კრედიტს. (ერთი კრედიტი უდრის 25 საათს.) აქედან 40%-ეთმობა პრაქტიკის კომპონენტს, 60%-თეორიულ კომპონენტს.

კურსდამთავრებულს ენიჭება კბილის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი სახელმწიფო პროფესიული დიპლომი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: კბილის

ტექნიკოსის მეხუთე საფეხურზე ჩარიცხვა ხდება:

- დოკუმენტების განხილვისა და პირის შესაბამისობის განსაზღვრის საფუძველზე;
- წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის უნარებისა და ღირებულებების კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარება, სადაც უპირატესობა მიენიჭება პრაქტიკულ კომპონენტს ან/დაგამოცდილებას.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

შესაბამისი საფეხურის ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების სპეციალისტის მომზადება, რომელსაც აქვს კბილის ტექნიკოსისათვის საჭირო ფართო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, იცის საანაბეჭდო და პროთეტიკული ნებისმიერი თანამედროვე მასალის დანიშნულება და გამოყენების მეთოდი. დაუფლებულია ნებისმიერი ორთოპედიული აპარატის შექმნის ხელოვნებას. გაცნობიერებული აქვს სატექნიკო ლაბორატორიისათვის უსაფრთხოების ნორმები. დაუფლებულია მიკრობიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის საფუძვლებს, და ატარებს სხვადასხვა ინფექციური დაავადების გავრცელების საშიშროების ასაცილებელ ღონისძიებებს;

შეუძლია: გამოიყენოს თეორიული ცოდნა, ობიექტურად შეაფასოს სამუშაო მოდელზე რაიმე პათოლოგიით განვითარებული კბილების, კბილთა მწკრივებისა და ყბების ალვეოლური ნაწილის დეფექტი და ტექნოლოგიების შერჩევით დაავადების რეციდივის თავიდან ასაცილებლად გადაწყვიტოს პროფილაქტიკისთვის აუცილებელი საკითხები; სატექნიკო ლაბორატორიის ორგანიზება, სხვისი სამუშაოს დაგეგმვა; კბილების გვირგვინების დეფექტების პროთეზირება ჩანართებით, ნახევარგვირგვინებით, ვინირებით, ხელოვნური გვირგვინებით, ისეთი მასალების ტექნოლოგიების ცოდნითა და გამოყენებით, როგორებიცაა: ფაიფური, პლასტმასი, ოქრო, ვერცხლი, ფოლადი და ფოლადის

შენადნობები, ასევე მათი კომბინაციები; დაშლილი გვირგვინის რესტავრაცია წკირების დახმარებით; კბილების ნაწილობრივი დაკარგვის დროს კბილთა მწკრივების დეფორმაციების ობიექტური შეფასება და მოუხსნელი ხიდისებური პროთეზებით, ან ნაწილობრივი, მოსახსნელი – ფირფიტოვანი პროთეზების გამოყენებით, რეაბილიტაცია; მძიმე დეფორმაციების შემთხვევაში მთლიანი მოსახსნელი პროთეზების, ასევე ორთოდონტიული და ორთოპედიული აპარატების შექმნა; შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება:

- აქვს კბილის ტექნიკოსისათვის საჭირო ფართო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა,
- იცის საანაბეჭდო და პროთეტიკული ნებისმიერი თანამედროვე მასალის დანიშნულება და გამოყენების მეთოდი.
- დაუფლებულია ნებისმიერი ორთოპედიული აპარატის შექმნის ხელოვნებას.
- გაცნობიერებული აქვს სატექნიკო ლაბორატორიისათვის უსაფრთხოების ნორმები. დაუფლებულია მიკრობიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის საფუძვლებს, და ატარებს სხვადასხვა ინფექციური დაავადების გავრცელების საშიშროების ასაცილებელ ღონისძიებებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

შეუძლია:

- გამოიყენოს თეორიული ცოდნა, ობიექტურად შეაფასოს სამუშაო მოდელზე რაიმე პათოლოგიით განვითარებული კბილების, კბილთა მწკრივებისა და ყბების ალვეოლური ნაწილის დეფექტი და ტექნოლოგიების შერჩევით დაავადების რეციდივის თავიდან ასაცილებლად გადაწყვიტოს პროფილაქტიკისთვის აუცილებელი საკითხები;
- სატექნიკო ლაბორატორიის ორგანიზება, სხვისი სამუშაოს დაგეგმვა;
- კბილების გვირგვინების დეფექტების პროთეზირება ჩანართებით, ნახევარგვირგვინებით, ვინირებით, ხელოვნური გვირგვინებით, ისეთი მასალების ტექნოლოგიების ცოდნითა და გამოყენებით, როგორებიცაა: ფაიფური, პლასტმასი, ოქრო, ვერცხლი, ფოლადი და ფოლადის შენადნობები, ასევე მათი კომბინაციები;
- დაშლილი გვირგვინის რესტავრაცია წკირების დახმარებით;
- კბილების ნაწილობრივი დაკარგვის დროს კბილთა მწკრივების დეფორმაციების ობიექტური შეფასება და მოუხსნელი ხიდისებური პროთეზებით, ან ნაწილობრივი, მოსახსნელი – ფირფიტოვანი პროთეზების გამოყენებით, რეაბილიტაცია;
- მძიმე დეფორმაციების შემთხვევაში მთლიანი მოსახსნელი პროთეზების, ასევე ორთოპედიული და ორთოდონტიული აპარატების შექმნა.

დასკვნის უნარი:

- უნარი შესწევს ამოიცნოს პრობლემა, დასკვნის გაკეთებამდე გამოიყენოს თანამედროვე საინფორმაციო საშუალებები და შეადგინოს სამუშაოს შესასრულებლად ალტერნატიული გეგმა.
- დამაჯერებლად შეუძლია ექიმის ინფორმირება და მასთან შეთანხმება.
- ანაბეჭდის ექიმისგან მიღების შემდეგ სამუშაო მოდელზე შეუძლია ორიგინალური დასკვნის გაკეთება, მოდელის კრიტიკული შეფასება და, შესაბამისად, ორთოპედიული კონსტრუქციის შესაქმნელად სხვადასხვა შესაძლებელი ვარიანტის განხილვა, საბოლოო გეგმის შედგენა და მიღებული შესაძლო შედეგის კრიტიკული ანალიზი.

კომუნიკაციის უნარი:

- შეუძლია როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი კომუნიკაცია კოლეგებთან და სამედიცინო პერსონალთან, განსაკუთრებით ექიმ სტომატოლოგებთან.
- განსხვავებულ სიტუაციებში იყენებს სატექნიკო საინფორმაციო ტექნოლოგიებს;
- აქვს კომპიუტერული ტექნიკის კარგი ცოდნა და შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიული ინფორმაციის დამუშავება და წარდგენა.

სწავლის უნარი:

შეუძლია წყაროების მოძიება, დამუშავება, მათ შორის უცხოურ ენაზეც, და სწავლის შემდგომი – აკადემიური საფეხურისათვის მომზადება.

ღირებულებები:

- როგორც სამუშაო, ასევე განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს მედიცინის მუშაკის პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ეთიკური ნორმების დაცვით;
- მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება მის მიერ შესრულებულ სამუშაოს, სადავო სიტუაციებში შეუძლია კრიტიკულად მიუდგეს საკუთარ ნამუშევარს, გააკეთოს შესაბამისი დასკვნა, გაითვალისწინოს პაციენტისა და ექიმის შენიშვნები;
- აფასებს სხვების დამოკიდებულებას პროფესიული ღირებულებებისადმი, თავისი დამოკიდებულება შეუძლია გაუზიაროს სხვას.

დასაქმების სფეროები:

კბილის ტექნიკოსის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს კბილის სატექნიკო ლაბორატორიაში, ასწავლოს მესამე და მეოთხე საფეხურის სტუდენტებს და დაასაქმოს ისინი საკუთარ კბილის სატექნიკო ლაბორატორიაში.

VI. მეხუთე საფეხურის პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (090552)



პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს 150 კრედიტს. (3750 საათი, ერთი კრედიტი უდრის 25 საათს.) აქედან 60%-ეთმობა თეორიულ კომპონენტს, 40% – პრაქტიკის კომპონენტს.

- პროგრამაზე მიღების წინაპირობა: - პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - სრული ზოგადი განათლება, კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად;
- პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურზე ჩარიცხვა ხდება მხოლოდ დოკუმენტების განხილვისა და პირის შესაბამისობის განსაზღვრის საფუძველზე;
- კურსდამთავრებულს ენიჭება პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი სახელმწიფო პროფესიული დიპლომი.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

პრაქტიკოსი ექთნის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია :

- მისცეს სტუდენტს საექთნო საქმისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ-ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით და გაცნობიერებულად შეასრულებს პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ როლსა და ფუნქციებს;
- იცოდეს და გაცნობიერებული ჰქონდეს საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებები, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები;
- სტუდენტი იცნობდეს უსაფრთხოების წესებს, ინფექციის კონტროლის პრინციპებს და გაცნობიერებული ჰქონდეს ამ პრინციპების დაცვის აუცილებლობა უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით;

- იცნობდეს თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებს; ინფორმაციის რეგისტრაციის, შენახვისა და გავრცელების პრინციპებს;
- გაცნობიერებული ჰქონდეს პრაქტიკოსი ექთნის როლი ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და უზრუნველყოფაში, როგორც ინდივიდუალურად, ასევე მულტიდისციპლინურ პროფესიულ გუნდში საქმიანობის კონტექსტში;
- იცოდეს მართვისა და ლიდერობის ძირითადი პრინციპები.

პრაქტიკოსი ექთნის საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

- აქვს საექთნო საქმისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ-ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით და გაცნობიერებულად ასრულებს პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ როლსა და ფუნქციებს;
- იცის და გაცნობიერებული აქვს საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებები, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები;
- იცის საექთნო საქმის სოციალური, კულტურული, სულიერი, ეკონომიკურ-პოლიტიკური ასპექტები;
- იცნობს ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას და გაცნობიერებული აქვს პრაქტიკოსი ექთნის დანიშნულება;
- იცნობს უსაფრთხოების წესებს, ინფექციის კონტროლის პრინციპებს და გაცნობიერებული აქვს ამ პრინციპების დაცვის აუცილებლობა უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით;
- იცნობს თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებს;
- იცნობს ინფორმაციის რეგისტრაციის, შენახვისა და გავრცელების პრინციპებს;
- გაცნობიერებული აქვს პრაქტიკოსი ექთნის როლი ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და უზრუნველყოფაში, როგორც ინდივიდუალურად, ასევე მულტიდისციპლინურ პროფესიულ გუნდში საქმიანობის კონტექსტში;
- იცის მართვისა და ლიდერობის ძირითადი პრინციპები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლია:

- კლიენტის/პაციენტის ოპტიმალური, უსაფრთხო, კომფორტული და ეთიკური მოვლის/მართვის უზრუნველყოფა;
- კლიენტის/პაციენტის ფიზიკური და ფსიქო-სოციალური ჯანმრთელობის ნორმისა და დევიაციის ნიშნების ამოცნობა, ადექვატური ინტერპრეტაცია და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ქმედების განხორციელება;
- კლიენტის/პაციენტის სიცოცხლესთან დაკავშირებული რისკების დროული შეფასება და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ქმედების განხორციელება;
- პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა;
- კლიენტის/პაციენტის მართვის გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა ინვაზიური ჩარევებისა და არაინვაზიური პროცედურების მოვლა/ წარმოება;

- მასზე დელეგირებული სამკურნალწამლო და სამედიცინო ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საშუალებათა დანიშნულებისამებრ გამოყენება, შენახვა და გამოყენებული მასალის განადგურება უსაფრთხოების წესების დაცვით;
- კლიენტის/პაციენტის ღირსების, უფლებების დაცვა, ადვოკატირება და ასოცირებული ინფორმაციის კონფიდენციალობის უზრუნველყოფა;
- კლიენტის/პაციენტის, მომვლელის ან და ოჯახის წევრების ინფორმირება და განათლება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში;
- სამედიცინო გუნდში ეფექტური და კოორდინირებული მუშაობა;
- დაქვემდებარებული ადამიანური რესურსების ეფექტური სწავლება/განათლება, მართვა, ფუნქციების ადექვატური დელეგირება;
- შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება, შენახვა, დაცვა, გადაცემა და გავრცელება;
- საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სკრინინგ-ტესტების, ადექვატური პრევენციული ღონისძიებების ან და იმუნიზაციის წარმოება;
- ჯანმრთელობის ხელშეწყობა ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის გზით.

დასკვნის უნარი

შეუძლია:

- დროულად ამოიცნოს კლიენტის/პაციენტის მოვლის/მართვის გეგმის ხელის შემშლელი, დამაბრკოლებელი გარემოებები და დამოუკიდებლად ან სხვისი დახმარებით აღმოფხვრას ისინი; შესაბამისი კორექტივები შეიტანოს ოვლის/მართვის გეგმაში და ცვლილებები შეათანხმოს სამედიცინო გუნდის დანარჩენ წევრებთან;
- ამოიცნოს კლიენტის/პაციენტის ფიზიკური და ფსიქოსოციალური ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორები და სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობები,
- გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები და იმოქმედოს სამედიცინო გუნდთან შეთანხმებულად, გადაუდებელი საჭიროებების შემთხვევაში კი - დამოუკიდებლად.

კომუნიკაციის უნარი

- სამედიცინო გარემოში როგორც მშობლიურ, ისე უცხო ენაზე ეფექტიანი ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი;
- მოსმენის, დაკვირვების, საჭირო შეკითხვების დასმის უნარი;
- ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამედიცინო კუთხითეფექტიანად გამოყენება;
- არავერბალური კომუნიკაციის უნარი.

სწავლის უნარი

შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ცოდნის დეფიციტი, საჭიროებები და პრიორიტეტები შემდგომი პროფესიული სრულყოფის მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე შეუძლია მოიძიოს შესაბამისი წყაროები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას.

ღირებულებები

- მოქმედებს საექთნო საქმიანობის მარეგულირებელი საერთაშორისო და ადგილობრივი საკანონმდებლო და ეთიკური ნორმების შესაბამისად;
- მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას;
- კრიტიკულად უდგება საკუთარ საქმიანობას, საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს ადექვატურ პროფესიულ შენიშვნებს, მითითებებსა და რეკომენდაციებს;
- აფასებს სხვათა დამოკიდებულებას პროფესიული ღირებულებებისადმი და მზად არის საკუთარი დამოკიდებულება გაუზიაროს სხვას.

დასაქმების სფერო :

პრაქტიკოსი ექთნის დასაქმების სფერო მოიცავს სხვადასხვა დონის დიაგნოსტიკურ, სამკურნალო, პროფილაქტიკურ და სარეაბილიტაციო დაწესებულებებს, ჰოსპისებს, ეთიკურ კომიტეტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრულ სფეროებს.

VII. ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამა (090351)



ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს **120** კრედიტს. (ერთი კრედიტი უდრის 25 საათს.)

აქედან 60%—ეთმობა თეორიულ კომპონენტს, 40% – პრაქტიკის კომპონენტს. კურსდამთავრებულს ენიჭება ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი **სახელმწიფო პროფესიული დიპლომი**.

ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურზე ჩარიცხვა ხდება: **მხოლოდ .დოკუმენტების განხილვისა და პირის შესაბამისობის განსაზღვრის საფუძველზე: საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:**

ფარმაცევტის თანაშემწის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- მისცეს სტუდენტს აფთიაქში მუშაობისა და ფარმაცევტულ საწარმოში წამალთა ტექნოლოგიებზე დამყარებული თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების ცოდნა;
- შეასწავლოს ფარმაცევტულ საწარმოებში და ორგანიზაციებში მიმდინარე ძირითადი პროცესები და მოწყობილობები;
- ფარმაციის აუცილებელ დისციპლინებში მიღებული ცოდნის საფუძველზე შეაფასოს დავალების შესასრულებლად საჭირო სხვადასხვა მიდგომა, სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.
- მიღებული ცოდნის საფუძველზე შესძლოს ფარმაცევტული ბიზნესის, მენეჯმენტისა და მარკეტინგის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული იდეების, მოსაზრებებისა და ინფორმაციის თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალიტებისა და არა სპეციალისტებისათვის;

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება:

- იცის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ზოგადი საფუძვლები;
- იცნობს ფარმაცევტულ წარმოებაში და ანალიზურ ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესებს;

- იცის ფარმაცევტული ხსნარების, ფხვნილების, გამონაცემების, მონახარშების, მალამოების საჭიროებისამებრ მომზადების ზოგადი თეორიული საფუძვლები;
- იცნობს წამლის ხარისხის კონტროლის და ქიმიურ ტოქსიკოლოგიური ანალიზის ზოგად თეორიულ საფუძვლებს;
- იცის წარმოების საწყობში შემოსული ნედლეულისა და მასალების მიღება, აღრიცხვა;
- იცის წარმოების პროცესის დაწყებით სტადიაზე (დამხმარესამუშაოები) ნედლეულისა და მასალების მომზადების (აწონვა, დაწვრილმანება, გაცრა, შერევა, სხვადასხვა გამხსნელების მომზადება, გახსნა, აორთქლება, შრობადაა.შ) თეორიული საფუძვლები;
- იცის მომზადებული პროდუქტის დაფასოება, შეფუთვა, მარკირება;
- იცის ფარმაცევტული პროდუქციის (მედიკამენტები, ბიოლოგიურადაქტიური დანამატების, პარასამკურნალო საშუალებების), სამედიცინო დანიშნულების საქონლის - საგნების, მასალების, შემავსებლის, დამხმარე და ძირითადი ნივთიერებების მიღება-განთავსება, შენახვის პირობების უზრუნველყოფა, სერიული აღრიცხვა და ვარგისობის ვადის კონტროლი.
- აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის დროს წამოჭრილი პრობლემების ხასიათსა და სირთულეს პოულობს გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

შეუძლია:

- ფარმაცევტული ხსნარების, ფხვნილების, გამონაცემების, მონახარშების, მალამოების დამზადება აფთიაქში, ექიმის რეცეპტის შესაბამისად, ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობით;
- წარმოების საწყობში შემოსული ნედლეულისა და მასალების მიღება, აღრიცხვა;
- მცენარეული, ცხოველური და მინერალური ნედლეულის დამზადება, შრობა, შენახვა. პირველადი დამუშავება (დაწვრილმანება, გაცრა, შერევა),
- სხვადასხვა გამხსნელების მომზადება, გახსნა, აორთქლება, შრობა;
- ტექნოლოგიური ოპერაციების (დაფასოება, შეფუთვა-მარკირება) განხორციელებაში მონაწილეობა;
- ფარმაცევტული პროდუქციის (მედიკამენტები, ბიოლოგიურად აქტიური დანამატები, პარასამკურნალო საშუალებები), სამედიცინო დანიშნულების საქონლის-საგნების, მასალების, შემავსებელი, დამხმარე და ძირითადი ნივთიერებების მიღება-განთავსება, შენახვის პირობების უზრუნველყოფა და ვარგისობის ვადის კონტროლი;
- მეორე და მესამე ჯგუფისათვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაცია;
- ფარმაცევტული ანალიზისათვის ლაბორატორიის მომზადება;

- რეაქტივების, ინდიკატორების, ტიტრიანი ხსნარების, ბუფერული ხსნარების მომზადება შესაბამისი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტის მიხედვით, ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობით;
- ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის ობიექტების გარეგნული დათვალიერება, შეფასება, სინჯების აღება და დამუშავება;
- წამლის ხარისხის კონტროლის და ქიმიურ ტოქსიკოლოგიური ანალიზის განხორციელება ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობით; დოკუმენტაციის წარმოება;
- მეორე და მესამე ჯგუფის პრეპარატების გაცემა დამოუკიდებლად;
- სხვებისათვის საკუთარი ცოდნის გადაცემა

დასკვნის უნარი:

უნარი შესწევს:

- ფარმაცევტული ნედლეულის, სამკურნალო საშუალებების, რეაქტივების და სამედიცინო დანიშნულების საქონლის შენახვის პირობების დარღვევის შესახებ დასაბუთებული დასკვნის გაკეთება და აღმოფხვრისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;
- ფარმაცევტული ნედლეულის, სამკურნალო საშუალებების და რეაქტივების ვარგისიანობის ვადების კონტროლი და დასაბუთებული დასკვნების გაკეთება დროული რეალიზაციის ან ამოღების აუცილებლობის შესახებ.

კომუნიკაციის უნარი:

- უნარი შესწევს ქართულ და უცხოურ ენებზე კომუნიკაცია, ინფორმაციის მიწოდება და ანგარიშის წარდგენა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის რეცეპტის მიხედვით სამკურნალო საშუალებების აფთიაქის პირობებში მომზადების ტექნოლოგიების, ფარმაცევტული, ნედლეულის, პროდუქციის და რეაქტივების ვარგისიანობის ვადებისა და მათი შენახვის პირობების შესახებ;
- შეუძლია მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდება მესამე ჯგუფისათვის მიკუთვნებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან დაკავშირებით.
- უნარი შესწევს ეფექტურად გამოიყენოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ფარმაცევტული საქმიანობის უზრუნველსაყოფად;

- უნარი შესწევს გადასცეს და გაუზიაროს მიღებული ცოდნა ინფორმაცია.
აქვს დემონსტრირების უნარი.

სწავლის უნარი:

შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულების განსაზღვრა შემდგომ ეტაპზე
სწავლის გაგრძელებისა და ახალი ტექნოლოგიების ათვისების მიზნით.

ღირებულებები:

1. მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას;
2. იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს.

დასაქმების სფერო :

ფარმაცევტის თანაშემწის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია იმუშაოს სააფთიაქო, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, ფარმაცევტულ ბაზებში, ფარმაცევტული პროდუქციის საწარმოებში, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ, წამლის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიებში, სტომატოლოგიურ და სამედიცინო ტექნიკის მაღაზიებში.

VIII. პრაქტიკოსი ბებიაქალის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (090553)



პრაქტიკოსი ბებიაქალის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს. (ერთი კრედიტი უდრის 25 საათს.)

აქედან 60% – ეთმობა თეორიულ კომპონენტს, 40% – პრაქტიკის კომპონენტს. კურსდამთავრებულს ენიჭება პრაქტიკოსი ბებიაქალის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი სახელმწიფო პროფესიული დიპლომი.

პრაქტიკოსი ბებიაქალის მეხუთე საფეხურზე ჩარიცხვა ხდება: მხოლოდ

დოკუმენტების განხილვისა და პირის შესაბამისობის განსაზღვრის საფუძველზე:

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

პრაქტიკოსი ბებიაქალი უზრუნველყოფს ქალის შესაბამის ზედამხედველობასა და მოვლას მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდებში ნორმალური მშობიარობის წარმართვისა და დედისა და ახალშობილის მოვლის გზით. რაც გულისხმობს პრევენციულ ღონისძიებებს, დედისა და ბავშვის პათოლოგიური მდგომარეობების დროულ აღმოჩენას, სამედიცინო დახმარების გაწევას კომპეტენციის ფარგლებში, კვალიფიციური დახმარების არარსებობის შემთხვევაში, გადაუდებელი ღონისძიებების შესრულებას.

პრაქტიკოსი ბებიაქალის პროფესიული კომპეტენციები მოიცავს საგანმანათლებლო და საკონსულტაციო საქმიანობასაც არა მარტო ქალთან, არამედ მის ოჯახთან მიმართებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

- აქვს პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ-ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით და გაცნობიერებულად ასრულებს პრაქტიკოსი ბებიაქალის პროფესიულ როლსა და ფუნქციებს;
- იცის და გაცნობიერებული აქვს საბეზო საქმის ძირითადი ღირებულებები, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები;
- იცის საბეზო საქმის სოციალური, კულტურული, სულიერი, ეკონომიკურ-პოლიტიკური ასპექტები;
- იცნობს ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას და გაცნობიერებული აქვს პრაქტიკოსი ბებიაქალის დანიშნულება;
- იცნობს უსაფრთხოების წესებს, ინფექციის კონტროლის პრინციპებს და გაცნობიერებული აქვს ამ პრინციპების დაცვის აუცილებლობა უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით;
- იცნობს თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებს;
- იცნობს ინფორმაციის რეგისტრაციის, შენახვისა და გავრცელების პრინციპებს;
- გაცნობიერებული აქვს უწყვეტი პროფესიული განვითარების აუცილებლობა;
- გაცნობიერებული აქვს პრაქტიკოსი ბებიაქალის როლი ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და უზრუნველყოფაში, როგორც ინდივიდუალურად, ასევე მულტიდისციპლინურ პროფესიულ გუნდში საქმიანობის კონტექსტში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

შეუძლია:

- ფიზიოლოგიური მშობიარობის წარმართვა და ახალშობილის მდგომარეობის შეფასება;
- მშობიარისა და ახალშობილისთვის ოპტიმალური, უსაფრთხო, კომფორტული და ეთიკური გარემოს უზრუნველყოფა;
- მშობიარის/ახალშობილის სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობების დროული იდენტიფიკაცია და სწორი გადაწყვეტილების მიღება;
- სამეანო და გინეკოლოგიური პრობლემების შემთხვევაში, უშუალო ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ, კვალიფიციური დახმარების გაწევა;
- პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა;
- ქალის პოსტნატალური კვლევა, მასზე ზრუნვა და მოსალოდნელი გართულებების პრევენცია;
- ახალშობილის მოვლა;
- მართვის გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა ინვაზიური ჩარევებისა და არაინვაზიური პროცედურების წარმოება;

- შესაბამისი საგანმანათლებლო და საკონსულტაციო საქმიანობის წარმოება; ქალის ასისტირება ძუძუთი კვების პროცესში, ხპრობლემშემთხვევაში – სწორი რეკომენდაციების მიწოდება და შესაბამისი
- მოვლის უზრუნველყოფა;
- საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სკრინინგ-ტესტების, ადექვატური პროფილაქტიკური ღონისძიებების ან/და იმუნიზაციის წარმოება;
- ჯანდაცვის სხვა პროფესიონალებთან კოორდინირებული ურთიერთობა;
- დედათა და ბავშვთა კეთილდღეობის, ჯანმრთელობის მონიტორინგის და სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით;
- შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება, შენახვა და დაცვა;

საკუთარ პროფესიული ღონის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა.

დასკვნის უნარი:

უნარი შესწევს დროულად ამოიცნოს ფიზიოლოგიური მშობიარობის რისკები, ხოლო მშობიარობის შემდგომ პერიოდში დედისა და ახალშობილის სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობები, გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები, შეათანხმოს სამედიცინო გუნდის სხვა წევრებთან, გაითვალისწინოს შესაბამისი რეკომენდაციები და განახორციელოს იგი; ხოლო გადაუდებელი საჭიროებების შემთხვევაში – იმოქმედოს დამოუკიდებლად.

კომუნიკაციის უნარი:

- შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მშობლიურ და უცხოურ ენებზე;
- იგი ფლობს თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებს ,მშობლიურ და უცხოურ ენებზე წარმოებული ინფორმაციის მოპოვების, ასევე დამუშავების, შენახვისა და საჭიროების შემთხვევაში, გავრცელებისა და დემონსტრირების მიზნით;
- იგი იყენებს კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებს შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის დროული და ზუსტი წარმოებისთვის, შენახვისთვის და დაცვისთვის, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, გადაცემისა და გავრცელებისთვის; აღნიშნული კომპეტენცია მას შეუძლია განხორციელოს როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენებზე;
- იგი წარმატებით იყენებს ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარებს სამედიცინო და სხვა ტიპის პროფესიული გუნდის დანარჩენ წევრებთან ეფექტური თანამშრომლობისა და კოორდინირებული საქმიანობის მიზნით;

შეუძლია გაუზიაროს, გადასცეს, შეაფასოს ცოდნა და ინფორმაცია სპეციალისტებსა და არასპეციალისტებში.. აქვს პრეზენტაციის უნარი.

სწავლის უნარი:

შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ცოდნის დეფიციტი, საჭიროებები და პრიორიტეტები შემდგომი პროფესიული სრულყოფის მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე

შეუძლია მოძიოს შესაბამისი წყაროები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას.

ღირებულებები:

- მოქმედებს ბებიაქალთა საქმიანობის მარეგულირებელი საერთაშორისო და ადგილობრივი საკანონმდებლო და ეთიკური ნორმების შესაბამისად;
- მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას;
- კრიტიკულად უდგება საკუთარ საქმიანობას, საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს ადეკვატურ პროფესიულ შენიშვნებს, მითითებებსა და რეკომენდაციებს;

აფასებს სხვათა დამოკიდებულებას პროფესიული ღირებულებებისადმი და მზად არის საკუთარი დამოკიდებულება გაუზიაროს სხვას.

დასაქმების სფერო :

პრაქტიკოსი ბებიაქალის დასაქმების სფერო მოიცავს რეპროდუქციული ჯანმრთელობის სხვადასხვა დონის დაწესებულებებსა და სტრუქტურებს, ეთიკურ კომიტეტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრულ სფეროებს

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა(დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა(დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრება/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- სემინარს;
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- პრაქტიკას;
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას;
- დამატებით გამოცდას;

სწავლების მეთოდები

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების ფაგლებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სწავლების მეთოდები:

- ლექცია,
- პრაქტიკული მეცადინეობა,
- სამუშაო ჯგუფში მუშაობა,
- გამოკითხვა,
- დისკუსია,
- განხილვა,
- როლური თამაში,
- სიტუაციური ამოცანა,

ასევე შესაბამისი კომპეტენციების განვითარებისათვის ადეკვატური სწავლების სხვა მეთოდები. სწავლების კონკრეტული მეთოდები განსაზღვრებული სწავლის შედეგების სპეციფიკიდან გამომდინარე, გაწერილია შესაბამისი სილაბუსში.

პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა:

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასებით:

- (A) ფრიადი– მაქსიმალური შეფასების 91% დამეტი;
- (B) ძალიანკარგი– მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი– მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი– მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი– მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფითი შეფასებები:

(FX) ვერ ჩააბარა– მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა– მაქსიმალური შეფასების 40% დანაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არარის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება.

შეფასება ითვალისწინებს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

პროგრამის ცალკეულ კომპონენტში გამოყენებული შეფასების ფორმები და მეთოდები დეტალურადაა გაწერილი შესაბამის სილაბუსში.



მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: პრაქტიკოსი ექთანის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

საკანონმდებლო ბაზა:

- საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული სტანდარტი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

სრული ზოგადი განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს:

ა) ყველა სამედიცინო დაწესებულებაში:

- სტაციონარი
- ამბულატორია
- დიაგნოსტიკური ცენტრი
- პირველადი ჯანდაცვის ობიექტები
- რეაბილიტაციის ცენტრები
- ესთეტიკური ცენტრები
- გადაუდებელი დახმარების ცენტრები
- სასწრაფო გადაუდებელი ცენტრები

ბ) სხვადასხვა ინსტიტუციაში:

- ბინაზე მომსახურება/პატრონაჟი
- პანსიონატები (ბავშვთა, მიუსაფართა, მოხუცთა სახლები)
- პალატიური მზრუნველობის ცენტრები
- საგანმანათლებლო დაწესებულებები
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები
- კვების ობიექტები

გ) ჯანდაცვის ორგანიზაციაში

- ჯანდაცვის სამინისტრო

პროგრამის მიზანი:

მისცეს სტუდენტს საექთნო საქმისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ-ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით შეასრულებს პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ როლსა და ფუნქციებს, საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებების, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით.

სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგპირს შეუძლია:

- საექთნო პროცესის მართვა
- კომუნიკაცია საზოგადოებასთან და ჯანდაცვის გუნდთან
- ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღომისძიებების დაცვა
- სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება
- პროფესიული განვითარებისთვის ზრუნვა

პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

- შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
- განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
- განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.


- განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- მოცულობა: 179 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 32 სასწავლო თვე

თეორიული სწავლება იწარმოებს საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეას“, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილ მატერიალურ ტექნიკურ ბაზაზე (მულტიფუნქციური მანქანები და სხვადასხვა სიმულატორები), სადაც თეორიულ სწავლება გადაზრდილია პრაქტიკული უნარების გამომუშავებაში, რაც გარანტიას იმისა რომ ჩვენიკურსდამთავრებულები იქნებიან მაღალი კვალიფიციაციის სპეციალისტები, რაც ობიექტურად გაზრდის მათი შემდგომი დასაქმების შესაძლებლობას.

პანაცეას მიერ განხორციელებული სასერტიფიკატო პროგრამა - პირველადი გადაუდებელი დახმარება



სამუშაოს მამიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების სახელმწიფო პროგრამა - ექთნის თანაშემწე

მოკლევადიანი სასერთიფიკატო პროგრამის დასახელება	ექთნის თანაშემწე (ავადმოვლა; პირველადი სამედიცინო დახმარება)
პროგრამის ხანგრძლივობა	8 კვირა; 37 დღე

პროგრამის მიზანია:ექთნის თანაშემწის სასერთიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მისცეს პირს ექთნის თანაშემწისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ-ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით შეასრულებს ექთნის თანაშემწის პროფესიულ როლსა და ფუნქციებს, შეძლებს დასაქმდეს ცოდნისა და უნარების გამოყენებით.

პროგრამის შედეგი:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- პაციენტის მოვლის უზრუნველყოფა;
- ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების დაცვა;
- უსაფრთხო და კომფორტული გარემოს უზრუნველყოფა პაციენტისა და საკუთარი თავისთვის
- პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა;
- ელექტრონულ-საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება საქმიანობაში.

დასაქმება:პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს შემდეგ დაწესებულებებში და სოციალურ გარემოში:

- სტაციონარი
- რეაბილიტაციის ცენტრები
- შინმოვლა
- პანსიონატები (ბავშვთა, მიუსაფართა და მოხუცთა სახლები)
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები (ბაგა-ბაღი)
- ჰოსპისი
- თანმხლები პირი(მგზავრობა-მოგზაურობისას)

სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების სახელმწიფო პროგრამა- ფარმაცევტის თანაშემწე

მოკლევადიანი სასერთიფიკატო პროგრამის დასახელება	ფარმაცევტის თანაშემწე
პროგრამის ხანგრძლივობა	8 კვირა; 37 დღე

პროგრამის მიზანია: მსმენელმა შეიძინოს ჯანმრთელობის დაცვის და სოცუზრუნველყოფის სფეროს პროგრესისთვის ფარმაცევტული საქმიანობის განვითარებაზე მორგებული კვალიფიციური კადრების შესაბამისი განათლება, რაც ითვალისწინებს: პარაფარმაცევტული და კოსმეტიკური საშუალებების მიღებას, აღრიცხვას, შენახვას, გაცემას, წამლის აღრიცხვას და შენახვას მათი ფიზიკურ ქიმიური თვისებების გათვალისწინებით, აფთიაქის სანიტარულ-ჰიგიენური და ტექნიკური პირობების დაცვას, აგრეთვე ბადების მიღებას, შენახვას, აღრიცხვას და გაცემას. ინსტრუქციის მიხედვით ამ ჯგუფის პრეპარატების შერჩევას მომხმარებლისთვის.

დასაქმება: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერი ტიპის აფთიაქებში, სამკურნალო- პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, ფარმაცევტულ ფორმებში, ფარმაცევტულ ბაზებში, პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში, პარფიუმერიულ მაღაზიებში.

საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას საწარმოო პრაქტიკის ბაზები



ბრენდირება

საზოგადოებრივმა კოლეჯმა პანაცეამ
მონაწილეობა მიიღო კერძო კოლეჯების
ასოციაციის ბრენდირების პროცესში,
რაც ითვალისწინებს, სხვადასხვა კრიტერიუმის
მიხედვით ვარსკვლავების მინიჭებას.
ვარსკვლავთა მაქსიმალური რაოდენობა
შეადგენს ხუთს. საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა
5 ვარსკვლავის მფლობელია!




პრაქტიკა პარტნიორ ორგანიზაციებში





კოლეჯის სტრუქტურა




კოლეჯის მნიშვნელოვანი აქტივობები

პანაცეას პროფესიული განათლების ხუთი ექსპერტი ყავს



კვალიფიციური გამოცდილებისა და ხარისხის ამაღლების მიზნით, კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციით გადამზადნენ კოლეჯის მასწავლებლები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები პროფესიულ განათლების ექსპერტად შესარჩევი კონკურსისათვის. კონკურსში წარმატება მოიპოვა ხუთმა პირმა: კოლეჯის სამმა მასწავლებელმა და ორმა ადმინისტრაციის წარმომადგენელმა.

წელს კიდევ ორი ელექტრონული სახელმძღვანელოს ავტორები გაგზდით


საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორის მოადგილის ქ-ნი მაია ჩიხლაძის და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ქ-ნი დალი კალაძის უშუალო ხელმძღვანელობით საზოგადოებრივმა კოლეჯმა პანაცეამ 2015 სასწავლო წლის მსგავსად, 2016 წელსაც კოლეჯის მასწავლებლებთან ერთად შექმნეს „მეან - ექთნის“ და „პირველადი გადაუდებელი დახმარების“ ელექტრონული სახელმძღვანელოები.



2015 წელი




2016 წელი



შეხვედრა განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან




სტუდენტთა და მასწავლებელთა შიდა და გარე კონფერენციები




პროფესიული განათლების ფესტივალი



სტუდენტთა და მასწავლებელთა ვიზიტი ფინეთში



სტუდენტური ღონისძიებები



ვიზიტი გერმანიაში

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა და გერმანიის ერთობლივი პროექტის "ამიერკავკასიაში პროფესიული ტრენინგების" ფარგლებში გერმანიის რესპუბლიკაში ერთკვირიანი ვიზიტით იმყოფებოდა საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას დირექტორის მოადგილე მაია ჩიხლაძე.



ტალინის ჯანდაცვის კოლეჯის წარმომადგენლების ვიზიტი



ვიზიტი ლატვიაში



გერმანელი ექსპერტების ვიზიტი პანაცეაში



კარიტასის სასერტიფიკატო პროგრამა

საქართველოს კარიტასის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამა, ყოველწლიურად გადაეცემს სერტიფიკატებს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ყველა სტუდენტს, ვინც შინამოვლის სასწავლო კურსს წარმატებით დაასრულებს.



გისურვებთ წარმატებებს!